

სკოპინგის დასკვნა N28

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 100 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურების („როდინაული 1“ და „როდინაული 2“), 110 კვ ძაბვის ქვესადგურის და 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „აჭარ ენერჯი-2007“ (ს/კ 245591426);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ზესტაფონის და თერჯოლის მუნიციპალიტეტები;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 28.01.2025;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გამა კონსალტინგი“

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის მიერ, წარმოდგენილია ზესტაფონის და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში, 100 მგვტ დადგმული სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურების („როდინაული 1“ და „როდინაული 2“), 110 კვ ძაბვის ქვესადგურის და 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო „როდინაული 1“ და „როდინაული 2“-ის ქარის ელექტროსადგურების, 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობა-ექსპლუატაცია დაგეგმილია ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში, სოფ. როდინაულის, ქვედა სიმონეთის და ბარდუბნის ტერიტორიებზე, სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე. „როდინაული 1“-ის ტურბინა-გენერატორების განთავსების წერტილებიდან არსებული უახლოესი შენობა-ნაგებობა მდებარეობს დაახლოებით 269 მეტრში (სოფ. როდინაული), ხოლო „როდინაული 2“-ის ტურბინა-გენერატორებიდან - დაახლოებით 1800 მეტრში (სოფ. ცხენთარო). 110 კვ ქვესადგურიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი (სოფ. ქვედა სიმონეთი) დაშორებულია 744 მ, ხოლო 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ეგხ-ის დერეფნიდან - დაახლოებით 8 მეტრით (სოფ. როდინაული). წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, როდინაულის ქარის ელექტროსადგურების საპროექტო არეალის ფარგლებში გადის სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ დაქვემდებარებაში არსებული 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი „აჯამეთი-1“ და „აჯამეთი-2“, ასევე სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ 110 კვ ძაბვის ეგხ „ყვრილა-1“ და შპს „ვარციხე 2005“-ს არსებული ეგხ „ყვრილა 2“.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია ქარის ტურბინების

ალტერნატივები, ასევე მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა. ქარის ელექტროსადგურის განთავსების ადგილმდებარეობის ალტერნატივის შერჩევა მოხდა გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 14 ერთეული „Goldwind GWH182“-ის ტიპის ტურბინა-გენერატორის მოწყობა, საიდანაც „როდინაული 1“-ის საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული 7 ერთეული ტურბინა-გენერატორის საერთო დადგმული სიმძლავრე იქნება 50 მგვტ, საშუალო წლიური მიახლოებითი გამომუშავება 149942.81 მგვტ სთ/წელ. „როდინაული 2“-ის 7 ერთეული ტურბინა-გენერატორის საერთო დადგმული სიმძლავრე იქნება ასევე 50 მგვტ, ხოლო ელექტროენერგიის საშუალო წლიური მიახლოებითი გამომუშავება 151739.4 მგვტ სთ/წელ. ქარის ელექტროსადგურების ჯამური საშუალო წლიური გამომუშავება იქნება 301682.21 მგვტ სთ/წელ. თითოეული ტურბინის ნომინალური სიმძლავრე იქნება 7.200 კვტ, სიმაღლე - 110 მეტრი. ტურბინების როტორები იქნება სამფრთიანი. ტურბინების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მიწისქვეშა 35 კვ ძაბვის საკაბელო ხაზის საშუალებით გადაეცემა საპროექტო 110 კვ ძაბვის ქვესადგურს.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, „როდინაული 1“-ის ქარის ელექტროსადგურის საპროექტო ტურბინების განთავსების წერტილების GPS კოორდინატებია: **T1 ტურბინა** X-324250 Y-4671154; **T2 ტურბინა** X-324753 Y-4670422; **T3 ტურბინა** X-324661 Y-4669921; **T4 ტურბინა** X-322412 Y-4671186; **T5 ტურბინა** X-322232 Y-4670455; **T6 ტურბინა** X-323919 Y-4669711; **T7 ტურბინა** X-322618 Y-4670045. ხოლო „როდინაული 2“-ის ქარის ელექტროსადგურის საპროექტო ტურბინების განთავსების წერტილების GPS კოორდინატებია: **T1 ტურბინა** X-320485. Y-4672564; **T2 ტურბინა** X-320177. Y-4672214; **T3 ტურბინა** X-319903. Y-4671860; **T4 ტურბინა** X-319942. Y-4671163; **T5 ტურბინა** X-321726. Y-4672213; **T6 ტურბინა** X-321583. Y-4671628; **T7 ტურბინა** X-321574. Y-4670782.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ტურბინების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მიწისქვეშა 35 კვ ძაბვის საკაბელო ხაზის საშუალებით გადაეცემა საპროექტო 110 კვ ძაბვის ქვესადგურს. ქარის ტურბინებისა და ქვესადგურის დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის ეგზ განთავსდება მიწისქვეშ 1.2-1.4 მ სიღრმის ტრანშეაში. მიწისქვეშა საკაბელო ხაზთან ერთად, ტრანშეაში განთავსებული იქნება დამიწების (სპილენძის) და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელები. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზების საერთო სიგრძე იქნება დაახლოებით 17.44 კმ. ეგზ-ის დერეფანი ძირითადად გაივლის ქარის ელექტროსადგურის ტერიტორიაზე დაგეგმილი სამშენებლო-საექსპლუატაციო გზების დერეფნებში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „როდინაული 1“ და „როდინაული 2“-ის ქარის ტურბინებიდან გამომუშავებული ელექტროენერგიის ჩართვა მოხდება 110 კვ ძაბვის საპროექტო ქვესადგურში, რომლის მოწყობა დაგეგმილია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 33.06.38.797) 19877 მ²

ფართობზე (ქვესადგურის GPS კოორდინატები: X-323087, Y-4673491; X-323129, Y-4673589; X-323307, Y-4673535; X-323270, Y-4673438). საპროექტო 110 კვ ძაბვის ქვესადგურში განთავსებული იქნება შემდეგი ინფრასტრუქტურა: საშუალო ძაბვის სისტემა; მაღალი ძაბვის სისტემა; კონდენსატორული ბატარეები; დამხმარე ინფრასტრუქტურა; კონტროლის, კომუნიკაციის, უსაფრთხოების დაცვის და სახანძრო დაცვის სისტემები, „SCADA“ სერვერის ჩათვლით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, როდინაულის („როდინაული 1“ და „როდინაული 2“) ქარის ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიის სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ ჩასართავად, საპროექტო 110 კვ ძაბვის ქვესადგურიდან საჭირო იქნება 110 კვ ძაბვის საპაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა ქ/ს „ზესტაფონი 500“-მდე. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, 110 კვ ეგხ-ის გაყვანა მოხდება დამოუკიდებელი პროექტის სახით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ქარის ელექტროსადგურების მშენებლობის პროცესში სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება საერთაშორისო მნიშვნელობის „თბილისი-სენაკი-ლესელიძის - (ს1/E60) საავტომობილო მაგისტრალი და საპროექტო ტერიტორიასთან დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის გზები. ზოგიერთ მონაკვეთზე გათვალისწინებულია არსებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება და ახალი მისასვლელი გზების მოწყობა. საავტომობილო მაგისტრალიდან ქარის ტურბინებამდე, სამშენებლო ბანაკამდე და ქვესადგურამდე მისასვლელი სარეკონსტრუქციო გზების ჯამური სიგრძე შეადგენს დაახლოებით 19.9 კმ-ს. საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელად ასევე საჭირო იქნება რკინიგზის ხაზის გადაკვეთა, რისთვისაც გათვალისწინებულია სარკინიგზო ხაზის ზემოდან გადასასვლელი ესტაკადის მოწყობა.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების ვადა განსაზღვრულია 48 თვით. სამშენებლო ბანაკი მოეწყობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 33.05.37.343) 8841 მ² ფართობზე, საიდანაც უახლოესი საცხოვრებელი სახლი (სოფ. ქვედა სიმონეთი) დაშორებულია დაახლოებით 1400 მეტრით. სამშენებლო ბანაკის განთავსების GPS კოორდინატები: X-321823, Y-4674026; X-321869, Y-4674029; X-321878, Y-4673882; X-321800, Y-4673905. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე დაგეგმილია შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსება: სამშენებლო ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებების სადგომები, სასაწყობო სათავსები, ადმინისტრაციული და მუშათა საცხოვრებელი ობიექტები (კონტეინერული ტიპის), სასადილო, სახელოსნოები, დიზელ-გენერატორი ავარიული შემთხვევებისათვის, დაცვის ჯიხური და სხვა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტის ფარგლებში ფუჭი ქანების წარმოქმნა მოხდება ტურბინა-გენერატორების, ქვესადგურის საძირკვლების, სამშენებლო მოედნების და შიდა გზების ვაკისების მოწყობისას. სამშენებლო სამუშაოებისას წარმოიქმნება 108000 მ³ ფუჭი

ქანი, საიდანაც მუდმივად დასაწყობებას დაექვემდებარება დაახლოებით 32400 მ³, ხოლო ძირითადი ნაწილი გამოყენებული იქნება უკუყრილების სახით. საპროექტო ტერიტორიაზე მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა შეადგენს დაახლოებით 9465 მ³-ს. მოხსნის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობება მოხდება უშუალოდ მოხსნის ადგილებზე, კერძოდ: ტურბინა-გენერატორების და ქვესადგურის სამშენებლო მოედნების ფარგლებში ცალკე გამოყოფილ უბნებზე. სამშენებლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება სარეკულტივაციო სამუშაოებისათვის. მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანები დასაწყობდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთის (ს/კ 33.05.37.344) ნაწილზე მოწყობილ სანაყაროს ტერიტორიაზე (სანაყაროს GPS კოორდინატები: X-321946, Y-4674191; X-322010, Y-4674199; X-322015, Y-4674090; X-321950 Y-4674086). სანაყაროს ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი (სოფ. ქვედა სიმონეთი) დაშორებულია დაახლოებით 1250 მეტრით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე წყლის გამოყენება გათვალისწინებულია სასმელ-სამეურნეო და ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით, ასევე ამტკერების საწინააღმდეგოდ მოედნების მოსარწყავად. მშენებლობის ეტაპზე სასმელი წყლით მომარაგება მოხდება ბუტილირებული სახით, ხოლო სამეურნეო დანიშნულებით წყლის მარაგის შევსების მიზნით ბანაკის ტერიტორიაზე მოეწყობა სამარაგო რეზერვუარი, რომლის შევსება მოხდება ავტოცისტერნებით. მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ჩამდინარე წყლებისთვის გამოყენებული იქნება ჰერმეტიკული საასენიზაციო ორმო.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია, ქარის ელექტროსადგურების, ქვესადგურის და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა-ექსპლუატაციის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოების პროცესთან. საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ხმაურის გავრცელების მაღალი დონეები მოსალოდნელია ქარის ტურბინების სამშენებლო მოედნებიდან, კერძოდ მიწის და სამონტაჟო სამუშაოების შესრულების პროცესში, ასევე ქარის ტურბინის მუშაობის დროს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტის განხორციელებით, საცხოვრებელი ზონების ტერიტორიებზე ხმაურით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ქარის ტურბინების საძირკვლების მომზადების და მისასვლელი გზების მოწყობისას მიწის სამუშაოების შესრულებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, წინასწარი

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით, ტურბინების განთავსებისათვის შერჩეულ ტერიტორიებზე საშიში გეოდინამიკური პროცესები იდენტიფიცირებული არ არის, თუმცა ქარის ელექტროსადგურების მშენებლობა-ექსპლუატაციამ შესაძლოა გამოიწვიოს ნიადაგის ეროზია, დაბინძურება და მეწყერი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გზმ-ის ეტაპზე დაგეგმილია დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარება, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საშიში გეოდინამიკური პროცესების რისკების შეფასებას და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მშენებლობის ფაზაზე ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებები არ იქნება მაღალი. ხოლო, ექსპლუატაციის ეტაპზე ვიზუალურ ზემოქმედებას ადგილი ექნება საერთაშორისო მნიშვნელობის „თბილისი-სენაკი-ლესელიძის - ს1/Е60“ საავტომობილო მაგისტრალით მოსარგებლე მგზავრებზე და ქარის ტურბინების განთავსების ადგილების მიმდებარე დასახლებულ პუნქტებზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთები ძირითადად გამოიყენება როგორც სასოფლო სავარგულებითვის, ასევე საძოვრებად. საპროექტო ქარის სადგურების მოწყობა დაგეგმილია მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე, სადაც კრიტიკული ჰაბიტატები წარმოდგენილი არ არის. ბუნებრივ ჰაბიტატებიდან გამოსაყოფია მეორადი მდელოები და ბუჩქნარები. საპროექტო ტერიტორიაზე ჭარბობს არაადგილობრივი მცენარეულობა, რაც ზოგადად დამახასიათებელია კოლხეთის დაბლობის ანთროპოგენული ლანდშაფტებისთვის. მათგან აღსანიშნავია ამორფა (*Amorpha fruticosa*), ცრუაკაცია (*Robinia pseudoacacia*), გლედიხია (*Gleditsia triacanthos*), ლაკარტია (*Paspalum distichum*), ავშანფოთოლა ამბროზია (*Ambrosia artemisiifolia*), ცხენისკუდა (*Erigeron canadensis*). საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლოა არსებობდეს ძელქვის, იმერული და კოლხური მუხების ინდივიდები ნორჩი ძირების სახით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ფაუნის წარმომადგენლებიდან საპროექტო ზონაში შესაძლოა მოხინაძრე ან/და მიგრანტი საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობებიდან აღსანიშნავია: **ძუძუმწოვრებიდან** - სამხრეთული ცხვირნალა (*Rhinolophus euryale*), ევროპული მაჩქათელა (*Barbastella barbastellus*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*), წავი (*Lutra lutra*); **ფრინველებიდან** - ორბი (*Gyps fulvus*), მთის არწივი (*Aquila chrysaetus*), მყივანი არწივი (*Aquila clanga*), ქორცქვიტა (*Accipiter brevipes*), ველის კაკაჩა (*Buteo rufinus*); **ქვეწარმავლებიდან** - კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakovi*).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ ექცევა დაცული ტერიტორიების საზღვრებში, ხოლო ზურმუხტის ქსელის საიტიდან - „აჯამეთი“ (GE0000018), უახლოესი ტურბინის დაშორების მანძილი 1.37 კმ-ია. ტერიტორია ასევე არ ექცევა ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორია SPA და ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის IBA საიტების ფარგლებშიც.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ქარის ელექტროსადგურის განთავსებისათვის შერჩეულ ტერიტორიაზე ხილული ისტორიულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები წარმოდგენილი არ არის. თუმცა მიწის სამუშაოების პროცესში, კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის შემთხვევაში, შეჩერდება სამუშაოები და გაგრძელდება მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მითითებების მიხედვით. დოკუმენტში მითითებულია, რომ გზშ-ს ეტაპზე საპროექტო ტერიტორიებზე დაგეგმილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დეტალური კვლევა, რომლის შედეგები ასახული იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მონაცემებით, წარმოდგენილი მთლიანი საპროექტო ტერიტორიიდან 1245 კვ.მ ფართობი წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიას. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სპეციალური ტყით სარგებლობის უფლების მოპოვება, შესაბამისი უფლების მოპოვებისათვის საჭირო დოკუმენტაციის პაკეტი წარდგენილი იქნება გზშ-ის ეტაპზე.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. საჯარო განხილვების ჩატარების შესახებ ინფორმაცია, ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. საჯარო განხილვები გაიმართა 2025 წლის 13 მარტს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. როდინაულის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, შპს „აჭარ ენერჯი-2004“-ის, შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვებზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით დასმული კითხვები ეხებოდა: სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებსა და ელექტროენერგიის გადასახადის (ტარიფის) შემცირებას, არსებული საძოვრების გამოყენება, პროექტის დაწყების ვადებს და ტურბინა-გენერატორების ხმაურით გამოწვეულ ზემოქმედებას. საჯარო განხილვაზე დასმულ საკითხებზე განმარტებები გააკეთეს შპს „აჭარ ენერჯი-2004“-ის და შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული საკითხები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები ასახულია საჯარო განხილვის ოქმებში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
- 2.1. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.
4. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
 - დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
 - დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა;
 - გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით (მათ შორის ქარის ელექტროსადგურის, ეგზ-ის და ქვესადგურის). მათ შორის არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნიკური პარამეტრების ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;

- საპროექტო ტერიტორიის დეტალური აღწერა/გარემო პირობების დახასიათება. მათ შორის ქარის ტურბინა-გენერატორების კონკრეტული ლოკაციების, დამხმარე ინფრასტრუქტურის, საპროექტო 110 კვ ძაბვის ქვესადგურისა და ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის განთავსების ადგილების დეტალური აღწერა, საკადასტრო კოდების და ფართობების მითითებით (GPS კოორდინატებისა და პროექტის ერთიან Shp ფაილებთან ერთად);
- საპროექტო ინფრასტრუქტურიდან („როდინაული 1“ და „როდინაული 2“-ის ქარის ელექტროსადგურები, ეგხ და ქვესადგური) დაზუსტებული მანძილები უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე, დასახლებულ პუნქტ(ებ)ამდე და ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ამდე, გენ-გეგმაზე კონკრეტული მანძილების მითითებით;
- საპროექტო ობიექტის ერთიანი გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება ქარის ელექტროსადგურის შემადგენელი ყველა საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტი, მათ შორის საპროექტო ქვესადგური და ელექტროგადამცემი ხაზი;
- ქარის ელექტროსადგურების („როდინაული 1“ და „როდინაული 2“) ფუნქციონირების ტექნოლოგიური სქემის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა, ელექტროსადგურის ჯამური სიმძლავრისა და (თვეების, წლების განმავლობაში) გამომუშავებული ელექტროენერგიის შესახებ ინფორმაციის მითითებით. საოპერაციო დროის/წლის განმავლობაში სამუშაო რეჟიმის შესახებ ინფორმაცია;
- საპროექტო ქარის ელექტროსადგურების („როდინაული 1“ და „როდინაული 2“), ქვესადგურისა და ელექტროგადამცემი ხაზის ტექნიკური პარამეტრების, ფიზიკური მახასიათებლების ცხრილი, პროექტის განმარტებითი ბარათი და ყველა შემადგენელი ტექნიკური ნაგებობის აღწერა;
- დეტალური ინფორმაცია ტურბინების რაოდენობის, ტიპის, თითოეული ტურბინის ადგილმდებარეობის, დადგმული სიმძლავრის, ტურბინების სიმაღლისა და ფრთების დიამეტრის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ტურბინებისთვის, ელექტროგადამცემი ხაზისა და ქვესადგურისთვის გათვალისწინებული დაცვის ზონებისა (ბუფერის) შესახებ (სქემატურ რუკაზე დატანით და შესაბამისი Shp ფაილებით);
- ქარის ელექტროსადგურების („როდინაული 1“ და „როდინაული 2“) ფუნქციონირებასთან დაკავშირებული შესაბამისი/დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია (თითოეული ობიექტის ტექნიკური მახასიათებლების მითითებით);
- ქვესადგურის ტერიტორიაზე სატრანსფორმატორო ზეთის დაღვრის პრევენციის მიზნით გასათვალისწინებელი ზეთშემკრები სისტემის შესახებ ინფორმაცია;
- ქარის ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი მიწისქვეშა 35 კვ ეგხ-ის, ეგხ-ის ტრანშეის სიღრმის და ტრანშეაში ეგხ-ის განთავსების პირობების შესახებ ინფორმაცია;

- ინფორმაცია საპროექტო ელექტროსადგურის და შემადგენელი ინფრასტრუქტურის მოწყობის ფარგლებში ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების შესახებ ინფორმაცია, მართვის ღონისძიებების მითითებით. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- ზემოქმედების არეალში არსებული საპროექტო მიწის ნაკვეთების საკუთრების ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

4.1. გზშ-ის ანგარიშის გეოლოგიურ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების აღწერა (პიკეტური აღწერა, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს ტერიტორიაზე არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების შეფასებასაც).

გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით (იდენტიფიცირებული პროცესები მოცემული უნდა იყოს კოორდინატებში).

4.2. პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი ვადების მითითებით. ამასთან, მოცემული იყოს სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრაფიკი;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკის შესახებ;
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოებისა და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით), ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და მისი განთავსების პირობებისა და ადგილმდებარეობების (GPS კოორდინატები, Shp ფაილები) მითითებით;
- ინფორმაცია მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობისა და მართვის შესახებ, ფუჭი ქანების განთავსების ადგილების/სანაყაროების (GPS კოორდინატები, Shp ფაილებთან ერთად) მითითებით;
- დასაბუთებული უნდა იყოს სამშენებლო ბანაკისა და სანაყაროების განთავსებისთვის შერჩეული ადგილის/ადგილების გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები. **სანაყაროებისთვის ტერიტორიის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სანაყაროს მოწყობას არ ითვალისწინებს;**
- მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვების შესახებ ინფორმაცია;;
- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ისა და სამშენებლო მოედნ(ებ)ის შესახებ. წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სამშენებლო ბანაკ(ებ)ის და მოედნ(ებ)ის დაზუსტებული ადგილმდებარეობა (GPS კოორდინატების მითითებით, shp ფაილებთან ერთად), ასევე დასაბუთებული უნდა იყოს ბანაკ(ებ)ის ან/და მოედნ(ებ)ის განთავსებისთვის შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები;
- დაზუსტებული ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)იდან უახლოეს მოსახლემდე მანძილის შესახებ;
- სამშენებლო ბანაკისთვის შერჩეული ტერიტორიის დეტალური აღწერა-დახასიათება;
- სამშენებლო ბანაკის გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;
- სამშენებლო ბანაკის ელექტროენერგიით მომარაგების საკითხები;
- სამშენებლო ბანაკზე (არსებობის შემთხვევაში) საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ ინფორმაცია;

4.3. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხები:

- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების შესახებ (არსებული/საპროექტო გზების სქემატურ ნახაზებზე და shp ფაილებზე ასახვით);
- ინფორმაცია ახალი მისასვლელი გზების მოწყობის ან/და არსებულის რეაბილიტაციის შესახებ. ახალი მისასვლელი გზების მოწყობის ან/და არსებული გზების რეაბილიტაციის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია

გზების პარამეტრებისა და მოწყობის სქემის მითითებით, ასევე შეფასებული უნდა იქნეს გზების მოწყობით/რეაბილიტაციით გამოწვეული ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე;

5. გზმ-ის ანგარიშში, ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- სრულფასოვან კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, მათ შორის ორნითოფაუნაზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე), მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ზემოაღნიშნული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა, სადაც აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტზე (განსაკუთრებით ორნითოფაუნაზე და ხელფრთიანებზე) და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხი, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი პრევენციული, მათ შორის საკომპენსაციო ღონისძიებების დაგეგმვა განხორციელების მიზნით;
- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ჭრას დაქვემდებარებული მცენარეების სახეობრივი შემადგენლობისა და რაოდენობის ზუსტი მითითებით (ე.წ. ტყეკაფის უწყისი);
- ინფორმაცია ფრინველთა დამაფრთხილებელი მოწყობილობების შესახებ, სადაც ასევე აღწერილი იქნება ტურბინების კონსტრუქციის ფერისა და ფორმის შერჩევის საკითხები, ფრინველების შეჯახებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირების კუთხით;
- გზმ-ის ანგარიშში სრულფასოვნად უნდა იქნას დასაბუთებული კუმულაციური ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე, განსაკუთრებით ფრინველებზე, როდინაულის („როდინაული 1“ და „როდინაული 2“) და „იმერეთის“ ქარის ელექტროსადგურების ერთობლივი ფუნქციონირების გათვალისწინებით;
- ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია 1.37 კმ-ით არის დაშორებული აჯამეთის ადკვეთილიდან, რომელიც ასევე წარმოადგენს ზურმუხტის ქსელის უბანს „აჯამეთი“ (GE0000018), დეტალურად უნდა იქნას წარმოდგენილი პროექტის საქმიანობით გამოწვეული პოტენციური ზემოქმედების შეფასება აღნიშნულ დაცულ ტერიტორიებზე;
- ინფორმაცია პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის შედეგად მისასვლელი გზების, სამშენებლო ბანაკის, ქვესადგურის, ფუჭი ქანების სანაყაროს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობისას ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ.

6. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, მათ შორის ემისიები სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის (მოწყობის შემთხვევაში) მუშაობისას, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- პროექტის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს არსებობის/მოწყობის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ხმაურის გავრცელების მოდელირება;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- შუქ-ჩრდილების ციმციმით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება მიმდებარე ტერიტორიაზე, მოსალოდნელი მოციმციმე ჩრდილების გავლენის მოდელირება;
- ზამთრის პერიოდში ქარის ტურბინებზე ყინულის წარმოქმნით/ყინულის ცვენით გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედების შეფასება, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- ელჭექის რისკის შეფასება და მეხამრიდი სისტემის შესახებ ინფორმაცია;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების გავრცელების მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების და მათი შემდგომი მართვის შესახებ, „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

- შესაძლო პირდაპირი ან/და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, მოსალოდნელი ზემოქმედების აღწერა და შედეგების შესწავლა, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- პროექტის ფარგლებში სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების (მარშრუტებისა და სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის მითითებით), მათ შორის სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების დეტალური შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ზემოაღნიშნული ფაქტორებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საკვლევ რეგიონში არსებული და დაგეგმილი პროექტები;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე (წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო არეალში ზემოქმედებას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთებისა და მათი მესაკუთრეების ინფორმირების/შეთანხმების შესახებ ინფორმაცია, ასევე არსებობის შემთხვევაში, ქარის ტურბინების დაცვის ზონაში/ბუფერში მოქცეული მიწის ნაკვეთების შესახებ ინფორმაცია და შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია) ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე (მათ შორის სამოვრებზე ზემოქმედება). ამასთან, განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია რეგიონში არსებული ან/და დაგეგმილი საქმიანობების გათვალისწინებით;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპებისთვის შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის მეთოდის, მონიტორინგის სიხშირისა და სხვ. მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;

7. შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილი ძირითადი საპროექტო (ეგზ-ის დაცვის ზონა, ძირითადი გზები, ტურბინის დამაკავშირებელი გზები, საამშენებლო ბანაკი, საპროექტო ქვესადგური) არეალის 89987 კვ.მ ფართობიდან (Shp-

ფაილი), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 1245 კვ.მ ფართობი წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიას. კერძოდ, ზესტაფონის სატყეო უბნის კვალითის სატყეოს ყოფილ საკოლმეურნეო ტყე, ხოლო სანაყაროსთვის გათვალისწინებული 6877 კვ.მ ფართობი არ მდებარეობს სახელმწიფო ტყეში. ასევე, ძირითადი საპროექტო მასალებით გათვალისწინებული 7 ტურბინის დისლოკაციის ადგილიდან მხოლოდ ტურბინა T5 არის სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე. ამასთან, ქვესადგურის მშენებლობის ალტერნატივა 1 (ფართობით: 4357 კვმ) და ალტერნატივა 2 (ფართობით: 19908 კვმ) არ წარმოადგენენ სახელმწიფო ტყის ტერიტორიას. ასევე, ტურბინების განთავსების ალტერნატივა 1 არ ხვდება სახელმწიფო ტყეში, ხოლო ალტერნატივა 2-დან ტურბინა T6 და ტურბინა T1 და ალტერნატივა 3-დან ტურბინა T5 მდებარეობენ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე. გაცნობებთ, რომ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი VIIIXIV) განსაზღვრული საქმიანობა (საქმიანობისთვის საჭირო წარმოსადგენი დოკუმენტაცია იხ. დანართი N1) ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით, საქმიანობის განმახორციელებელმა გზშ-ის ანგარიშს უნდა დაურთოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები;

- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, ქარის ელექტროსადგურების, 110 კვ ძაბვის ქვესადგურის და 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტაციისა და სააგენტოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, კვეთს წიაღით სარგებლობის მანგანუმი, შესწავლა-მოპოვება) ლიცენზია N 10002911 (შპს „მნ ტექნიკს“ (ს/ნ 402133400), ვადა - 18.01.2042 წ.) კონტურს. საპროექტო ტერიტორია, ასევე კვეთს ყვირილის ქვიშა-ხრეშის საბადოს კონტურს. წარმოდგენილი ტერიტორიის საბადოს კონტურთან თანაკვეთის ფართობზე (35916 კვ.მ) არსებული ქვიშა-ხრეშის მარაგი შეადგენს 107748 მ³-ს. გარდა ამისა, ალტერნატიული ტერიტორია (ქვესადგური) შედის ამავე საბადოს კონტურში, სადაც თანაკვეთის ფართობზე (4357 კვ.მ) არსებული ქვიშა-ხრეშის მარაგია 13071 მ³. ჯამური მარაგი, ალტერნატიული ტერიტორიის ჩათვლით, შეადგენს 120819 მ³-ს. გარდა ამისა, საპროექტო ტერიტორია კვეთს ყვირილის დეპრესიის მანგანუმის საბადოს კონტურს. შესაბამისად, აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსთან კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;

- შპს „საქართველოს მელიორაციის“ ცნობით, სკოპინგის ანგარიშში არ არის განხილული საპროექტო არეალში არსებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საპროექტო არეალში მოქცეულია კომპანიის კაპიტალში რიცხული, რეგისტრირებული (ს/კ. 32.00.072) აჯამეთის სარწყავი სისტემის გამანაწილებელი არხები, რომლებსაც „სამელიორაციო სისტემის ნაგებობებისათვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენა-გასხვისების სამშენებლო ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 2003 წლის 30 ივნისის N19 ბრძანების შესაბამისად გააჩნიათ მუდმივი გასხვისების ზოლები. აღნიშნული გამანაწილებელი არხებისთვის გასხვისების ზოლის სიგანე შეადგენს პირველი რიგის გამანაწილებლებისთვის არხის ბერმის კიდედან 6-6 მეტრს მის ორივე მხარეს, ხოლო მეორე რიგის გამანაწილებლებისთვის არხის ბერმის კიდედან 4-4 მეტრს მის ორივე მხარეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას დაცული იქნეს შემდეგი ტექნიკური პირობები:

- მიწისქვეშა კაბელი მოეწყოს ხაზოვანი ნაგებობის გასხვისების ზოლის გარე პერიმეტრზე;
- ელ. გადამცემი კაბელით მიწისქვეშა გადაკვეთის ადგილზე, ელ. გადამცემი ხაზის ჩაღრმავება უნდა მოეწყოს ხაზოვანი ნაგებობის გასხვისების ზოლის მთელ პერიმეტრზე, არანაკლებ 1 მეტრის სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან. ამასთან, მიწისქვეშა გადაკვეთის კვანძში, მანძილი არხის ძირის საპროექტო ნიშნულიდან ელ. გადამცემი კაბელის ზედაპირამდე უნდა იყოს არანაკლებ 1 მეტრის ჩაღრმავებით;
- ელ. გადამცემი კაბელი ხაზოვანი ნაგებობის გადაკვეთის და გასხვისების ზოლის მთელ სიგრძეზე მოთავსებული უნდა იქნეს ფოლადის გარსაცმში;
- არხის გადაკვეთის კვანძში, გასხვისების ზოლის კიდეზე, ნაგებობის ორივე მხარეს უნდა მოეწყოს მანიშნებელი ბოძკინტები;
- ქარის ტურბინების და ელ. გადამცემი ხაზის მშენებლობა უნდა განხორციელდეს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის და მისი საექსპლუატაციო გზის დაუზიანებლად. მათი დაზიანების შემთხვევაში მშენებელმა კომპანიამ უნდა მოახდინოს დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა საპროექტო პარამეტრების დაცვით;
- ქარის ტურბინების სამირკვლების მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამელიორაციო ინფრასტრუქტურის გასხვისების ზოლის პარამეტრები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ შეთანხმების დამადასტურებელი (მათ შორის კომუნიკაციის ამსახველი) დოკუმენტაცია;

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, როდინაულის („როდინაული 1“ და „როდინაული 2“) ქარის ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიის ქ/ს „ზესტაფონი 500“-ში ჩასართავად 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის

გაყვანა მოხდება დამოუკიდებელი პროექტის სახით. გზშ-ის ანგარიშში სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული ეგზ-ის დამოუკიდებელი პროექტით გაყვანის გადაწყვეტილება ან წარმოდგენილი უნდა იქნეს ეგზ-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია (ტიპი, პარამეტრები, სქემატური ნახაზები, shp ფაილები, გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედება და ა.შ.) და მისი მოწყობის შედეგად გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების შეფასება;

- წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო არეალი მოიცავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. გაცნობებთ, რომ „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია. დამატებით გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართის 1.1. ქვეპუნქტის თანახმად, 10 ჰექტარი ან მეტი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო არეალში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საერთო ფართობი და სარგებლობის საფუძველი ან/და გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია მიწის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთების სტატუსის შეცვლის (არასასოფლო-სამეურნეო) შესახებ;
- გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საპროექტო ინფრასტრუქტურის მიერ მიწისქვეშა და მიწისზედა (მათ შორის საჰაერო) ობიექტების გადაკვეთების შესახებ (მათ შორის: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, სს „ენერგო პრო ჯორჯია“, შპს „ვარციხე 2005“), მესაკუთრეებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენით;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ინფრასტრუქტურის სიახლოვეს განთავსებულია შენობა-ნაგებობები. დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე, ასევე მიმდებარედ არსებული შენობა-ნაგებობების შესახებ ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „7 ტურბინა გენერატორი განთავსდება „როდინაული 1“-ის საპროექტო ტერიტორიაზე, საერთო დადგმული სიმძლავრით 50 მგვტ, ელექტროენერგიის საშუალო წლიური მიახლოებითი გამომუშავება იქნება 149942.81 მგვტ სთ/წელ, ხოლო 7 ტურბინა გენერატორი განთავსდება „როდინაული 2“-ის საპროექტო ტერიტორიაზე, საერთო დადგმული სიმძლავრით 50 მგვტ, ელექტროენერგიის საშუალო წლიური მიახლოებითი გამომუშავება იქნება 151739.4 მგვტ სთ/წელ.“ ვინაიდან, „როდინაული 1“ და „როდინაული 2“-ის ტურბინების

რაოდენობა და დადგმული სიმძლავრე იდენტურია, დაზუსტებას საჭიროებს განსხვავებული გამომუშავებული ენერგიის შესახებ ინფორმაცია;

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელად საჭირო იქნება რკინიგზის ხაზის გადაკვეთა, რისთვისაც გათვალისწინებულია რკინიგზის ხაზის ზემოდან გადასასვლელი ესტაკადის მოწყობა. შესაბამისად, აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს სს „საქართველოს რკინიგზასთან“ კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;
- „ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში, შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის 50 მეგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის, 110 კვ ქვესადგურის და 35 კვ ეგზ-ის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2024 წლის 10 იანვარს გაცემულია სკოპინგის ბრძანება N3/ს და N1 სკოპინგის დასკვნა. მონაცემთა გადამოწმებით დგინდება, რომ N1 სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საქმიანობა, ე.წ. „იმერეთის“ ქარის ელექტროსადგურისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობა-ექსპლუატაცია დაგეგმილია როდინაულის („როდინაული 1“ და „როდინაული 2“) ქარის ელექტროსადგურების საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ სამივე ქარის ელექტროსადგურის („როდინაული 1“, „როდინაული 2“, „იმერეთი“) მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ჩართვა მოხდება ერთ ქვესადგურში, ამასთან გამოყენებული იქნება „იმერეთის“ ქარის ელექტროსადგურის ტერიტორიაზე განთავსებული სამშენებლო ბანაკი და სანაყარო. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დაგეგმილი ქარის ელექტროსადგურების („როდინაული 1“, „როდინაული 2“, „იმერეთი“) საპროექტო ტერიტორიები განთავსებულია ერთმანეთის მიმდებარედ და დაგეგმილია ერთი და იმავე დამხმარე ინფრასტრუქტურის გამოყენება (სამშენებლო ბანაკი, სანაყარო, ქვესადგური), ასევე იმის გათვალისწინებით, რომ სამივე ქეს-ის მშენებლობა-ექსპლუატაციას გეგმავს შპს „აჭარ ენერჯი-2007“, გარემოზე (მათ შორის კუმულაციური) ზემოქმედების სათანადოდ შეფასებისათვის და ეფექტური შემარბილებელი, პრევენციული და საკომპენსაციო ღონისძიებების დასახვა-განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია „იმერეთის“ ქარის ელექტროსადგურის პროექტი წარმოდგენილ იქნეს დაგეგმილ საქმიანობასთან ერთად, ერთიანი გზშ-ის ანგარიშის სახით („როდინაული 1“, „როდინაული 2“, „იმერეთი“).** **ზემოაღნიშნულის განუხორციელებლობის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნეს სათანადო დასაბუთება;**
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 9 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილხთან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის, გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა;

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის მიერ, წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში, 100 მგვტ დადგმული სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურების („როდინაული 1“ და „როდინაული 2“), 110 კვ ძაბვის ქვესადგურის და 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების დაცვით.